სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დებულება

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №15, 28.10.2016
ცვლილება განხილულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი №17, 02.12.2016
ცვლილება განხილულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი№5, 12/03/2018
ცვლილება განხილულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი№17, 26/09/2022
ცვლილება განხილულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი№5, 04/03/2024

ფაკულტეტის დეკანი: /შორენა ლაზვიაშვილი/

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
ოქმი №9, 16.12.2016
ცვლილებადამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
ოქმი № 5 14.03.2018
ცვლილებადამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
ოქმი № 9 30.09.2022
ცვლილებადამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
ოქმი № 6 13.03.2024

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/

თელავი
2016

I თავი

ზოგადი ნაწილი

მუხლი 1.ფაკულტეტისსტატუსი

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემგდომში - ,,ფაკულტეტი'')არის სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,თესაუ") ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აერთიანებს როგორც სასწავლო,სამეცნიერო-კვლევით, ისე დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც მოიცავს ფაკულტეტზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.
2. ფაკულტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს სწავლების ყველა საფეხურზე მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან/და კვალიფიკაციის მინიჭებით.
3. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა ,,სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტი''.
4. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თესაუ-ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
5. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, რომლითაც სარგებლობს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე თესაუ-ს ოფიციალური ვებ-გვერდის ფარგლებში არსებული სპეციალური განყოფილება.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

1.წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის ძირითად ფუნქციებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

2. ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის.

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი)

მუხლი 2[1]. ფაკულტეტის ფუნქციები

ფაკულტეტის ფუნქციებია:
ა) თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
ბ) კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწავლების ყველა საფეხურებზე;
გ) სფეროს კვლევებში ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება;

დ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე და სამეცნიერო კვლევითი პროექტების ინიცირება ან/და ხელშეწყობა; ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება;
ე) სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა;
ვ)სტუდენტისა და პროფესორის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ;
ზ)აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი)

II თავი
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანო:

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:
ა) ფაკულტეტის საბჭო;
ბ) ფაკულტეტის დეკანი;
გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი , ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი), აკადემიური პერსონალი, მოწველი მასწავლებლები და სტუდენტები, დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის დეპარტამენტი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები*(დანართი 1).*
   დანართი 1-დან ამოღებულ იქნა „ფრანკოფონიის კაბინეტი"
   (ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)
   (ცვლილებები შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 6 13.03.2024)

3. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე.
4. დადგენილი წესის შესაბამისად ფაკულტეტზე იქმნება: ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და საჭიროების შემთხვევაში სხვა დროებითი კომისიები.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი)

III თავი
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი ს ს ა ბ ჭ ო

მუხლი 4.ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში საბჭო), რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, თესაუს წესდებით, თესაუ-ს შინაგანაწესითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალის წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობიდან არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4 -ზე ნაკლები.
3. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში განხორციელებულ ცვლილებას, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბრძანებით ამტკიცებს რექტორი.
4. ფაკულტეტის საბჭო თავის წევრთაგან ირჩევს მდივანს, საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ (საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა). საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საჭიროების შემთხვევაში, დეკანს უფლება აქვს სათათბირო ხმის უფლებით სხდომაზე მოიწვიოს სხვა ფაკულტეტის / სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელები.
5. ფაკულტეტის საბჭო:

ა) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

ბ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და თესაუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

დ) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) ირჩევს ეთიკის კომიტეტის წევრებს;

ე)[1] ირჩევს ფაკულტეტის წარმომადგენლებს თესაუ-ს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში;

ვ) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს და აგრეთვე, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და წარუდგენს თესაუ-ს აკადემიურ საბჭოს;

ზ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ოთხი წლის ვადით;

ზ)[1]დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან /და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ზ)[2] დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

თ) (ამოღებულია - *წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)*

ი) *(ამოღებულია -წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი);*

კ) *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი);*

ლ) *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი);*

მ)განიხილავს და ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს;

ნ) განიხილავს სტუდენტთა სემესტრულ მოსწრებას სტიპენდიანტთა შერჩევის მიზნით;

ო) *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5ოქმი);*

პ) განიხილავს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ მიმდინარე საკითხებს.

6. დებულებით გათვალისწინებული საკითხების გარდა ყველა გადაწყვეტილებას საბჭო იღებს ღია კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით.
7. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე (დეკანი) და მდივანი.
8. საბჭოს თავმჯდომარე აკონტროლებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას და მოახსენებს საბჭოს წევრებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

IV თავი
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 5. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, თესაუ-ს წესდებით, თესაუ-ს შინაგანაწესითა და წინამდებარე დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

მუხლი 6. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

1. დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ოთხი წლის ვადით;
2. დეკანად შეიძლება აირჩეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
3. დეკანის თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი;
4. დეკანად ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;
5. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. რეგისტრაცია გრძელდებაარა ნაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა, რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 კვირისა და არაუმეტეს 2 კვირის

ვადაში ფაკულტეტის საბჭოფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს, რომელსაც 2 დღის ვადაში წარუდგენსრექტორს დასამტკიცებლად.

6. დეკანის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას ფაკულტეტის საბჭო ღია სხდომაზე ისმენს თითოეული კანდიდატურის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

მუხლი 7. ფაკულტეტისდეკანისუფლება-მოვალეობები

1. **დეკანს უფლება აქვს:**

ა) მონაწილეობა მიიღოს თესაუ-ს ყველა თათბირზე, შეხვედრაში რომელიც დაკავშრებულია ფაკულტეტის საქმიანობასთან;
ბ) დაქვემდებარებული თანამშრომლებისგან მოითხოვოს წერილობითი ანგარიშგება სამუშაო გეგმების განხორციელების თაობაზე;
გ) ისარგებლო სთესაუ-ს სხვა სტუქტურული ქვედანაყოფების მომსახურებით;
დ) რექტორს წარუდგინოს აკადემიური პერსონალის მიღება-გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და წახალისების ღონისძიებათა პროექტები;
(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)
ე) ფაკულტეტის საბჭოს და რექტორს წარუდგენს სტუდენტთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების ღონისძიებების პროექტებს;
(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)
ვ) გაასაჩივროს თესაუ-ს სამართლებრივი აქტები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში მიმართოს თესაუ-ს რექტორს ან/და თესაუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოსაცემად.

1[1]. დეკანის მოვალეობებია:

ა) ფაკულტეტის საქმიანობის ხელმძღვანელობა;
ბ) ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო პროცესების რეგულირების და კონტროლის უზრუნველყოფა;
გ) ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის, შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ფაკულტეტის საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;
დ) შეიმუშავოს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენოს ფაკულტეტის სტრუქტურა და დებულება;
ე) ფაკულტეტის საბჭოს სხდომების თავმჯდომარეობა;
ვ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრული შესრულება, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა;

ზ) უხელმძღვანელოს სასწავლო ცხრილების შედგენას და აწარმოოს კონტროლი მათ შესრულებაზე;

თ) ფაკულტეტის ყველა საჭირო დოკუმენტაციის შენახვა არქივში ჩაბარებამდე;

ი) რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიების შემადგენლობა;

კ) სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების მიზნით რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენოს სტუდენტთა სია;

ლ) უზრუნველყოს თესაუ-ს წესდების შესაბამისად სტუდენტთა უფლებების დაცვა.

ლ[1]) სტიპენდიის კანდიდატების შესახებ სიის სიზუსტეზე კონტროლისა და კანდიდატთა შერჩევაზე პასუხისმგებლობა.

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

მ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რექტორს წარუდგინოს სტიპენდიანტთა სია;

ნ) კონტროლი გაუწიოს სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის პროცესს;

ო) ხელი შეუწყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას;

პ) კოორდინაცია გაუწიოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

ჟ) რექტორს წარუდგენოს სტუდენტთა მობილობის, სტატუსის შეჩერების / შეწყვეტის ან აღდგენის შესახებ დასკვნა;

რ) თესაუ-ს უმაღლესი ორგანოების დროული ინფორმირება ყველა დარღვევის შესახებ;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია რექტორის წინაშე, აგრეთვე, წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

ტ) ელექტრონული უწყისების და ბაზების სიზუსტის (სასწავლო კურსში მონაწილე სტუდენტთა შემადგნელობის სიზუსტე, ლექტორის მიერ შეტანილი შეფასების თავსებადობა კურსის სილაბუსებთან, სილაბუსით განსაზღვრული ბარიერების მონიტორინგის წარმოება და ფინალურ გამოცდებზე დასაშვებ პირთა სიის სიზუსტეზე კონტროლი აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით) კონტროლზე პასუხისმგებლობა;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

უ) პირველკურსელთა, მობილობით გადმოსულ და სტუდენტის სტატუსის ახლადაღდგენილ პირთათვის ელექტრონულ ბაზებში რეგისტრაციისა და სასწავლო კურსების დარეგისტრირების სიზუსტის კონტროლზე პასუხისმგებლობა;

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

მუხლი 7[1]. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა

1.დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი:

ა) დეკანს უფლებამოსილება უწყდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის, თესაუს-ს წესდებისა და შინაგანაწესით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას;

ბ)რექტორი უფლებამოსილია მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს დეკანის ვადამდელი გადაყენების შესახებ, დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის საფუძვლით.

2. დეკანის სამსახურში არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, ავადმყოფობა, შვებულება) მის მოვალეობას ასრულებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

V თავი
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1.ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად;

2. სამსახური ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით. სამსახური მუდმივ კონტაქტშია სტუდენტებთნ და კონსულტაციას უწევს მათ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის. სწავლების დაწყებისას სამსახურის უფროსი სტუდენტებს აცნობს საკუთარ უფლებებს და განუმარტავს მათ სასწავლო კურსების/დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის წესს და წინა პირობებს.

2[1]) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად. *(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)*

2[2]")„მობილობის (შიდა და გარე მობილობის) და სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი. კომისია შეიმუშავებს დასკვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს რექტორს. კომიის მუშაობის ფარგლებში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციაა: დასკვნას აჯამებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მის იურიდიულ და აზრობრივ გამართულობას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით". *(ცვლილებები შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი № 6 13.03.2024)*

3. დეპარტამენტთან ერთად სამსახური აანალიზებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ყველა პროგრამაზე და სწავლების ყველა საფეხურზე მოქმედ სასწავლო გეგმებს.

4. სამსახური ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და თესაუ-სხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

4[1]) სამსახურს ეკისრება ელექტრონული უწყისების და ბაზების სიზუსტის (სასწავლო კურსში მონაწილე სტუდენტთა შემადგნელობის სიზუსტე, ლექტორის მიერ შეტანილი შეფასების თავსებადობა კურსის სილაბუსებთან, სილაბუსით განსაზღვრული ბარიერების მონიტორინგის წარმოება და ფინალურ გამოცდებზე დასაშვებ პირთა სიის სიზუსტეზე კონტროლი აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით) კონტროლზე პასუხისმგებლობა;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

4[2]) სამსახურს ეკისრება პასუხისმგებლობა პირველკურსელთა, მობილობით გადმოსულ და სტუდენტის სტატუსის ახლადაღდგენილ პირთათვის ელექტრონულ ბაზებში რეგისტრაციისა და სასწავლო კურსების დარეგისტრირების სიზუსტის კონტროლზე.

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

4[3]) სამსახურს ეკისრება სტიპენდიის კანდიდატების შესახებ სიის სიზუსტეზე კონტროლისა და კანდიდატთა შერჩევაზე პასუხისმგებლობა.

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

5. სამსახურის ხელმძღვანელს თესაუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული კანდიდატებიდან ფარული კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ოთხი წლის ვადით.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციისდაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, რეგისტრაცია გრძელდებაარა ნაკლებ ერთი და არაუმეტეს ორი კვირისა.

7. რეგისტრაციის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში ფაკულტეტის საბჭო, ფარული კენჭისყრით , სიითი შემადგენლობის უმრავლესობითირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.თუ პირველ ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებსპირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორიკანდიდატი.მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი ვინც მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3 -ისა.

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

9.სამსახურის ხელმძღვნელი არის თესაუ-სხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი.

10. *(ამოღებულია - (წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი).*

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

VI თავი
ფაკულტეტის დეპარტამენტი

მუხლი 9. ფაკულტეტის დეპარტამენტი

1. დეპარტამენტი წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო- კვლევით სტრუქტურულ ერთეულს. დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის შესაბამისი მიმართულების მქონე აკადემიური პერსონალი. დეპარტამენტის შექმნა და ლიკვიდაცია ხდება თესაუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. დეპარტამენტს ევალება:

ა) პედაგოგიური და სხვა სახის პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო შრომების, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის კოორდინაცია;

ბ) სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ორგანიზება სწავლების ყველა საფეხურზე;

გ) სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის, კონფერენციების მოწყობა-ჩატარების ორგანიზაცია;

დ) საბაკალავრო და სამაგისტრო შრომების დაცვისათვის მზადება, კონსულტაციების ორგანიზება.

3. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ა) დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურას შეარჩევს ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. თესაუ-ს რექტორი, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, 2 წლის ვადით ნიშნავს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დეპარტამენტის ხელმძღვანელად ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ ორჯერ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი #17, 02.12.2016).

ბ) დეპარტამენტის ხელმძღვანელად შეიძლება დანიშნულ იქნეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი (საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი).

გ) დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, დეპარტამენტში შემავალი კაბინეტ-ლაბორატორიების საქმიანობას

დ) სასწავლო წლის დაწყებამდე საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

ე) საჭიროების შემთხვევაში სასწავლო სემესტრების დაწყებამდე დეპარტამენტში საათობრივი მოწვევის წესით მოწვეულთა დატვირთვებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

4.სპეციალისტი:

ა) სპეციალისტი არის დეპარტამენტთან არსებული სასწავლო - დამხმარე პერსონალი.

ბ) სპეციალისტად მიიღება მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირიშესაბამისი კვალიფიკაციით.

გ) სპეციალისტის ფუნქციებს სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

5.სპეციალისტს ევალება:

ა) დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო დოკუმენტაციის წარმოება;

ბ) დეპარტამენტში არსებული წიგნადი ფონდის დაცვა;

დ) თესაუ-ს საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;

ე) თესაუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვა.

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

VII თავი

დეკანის თანაშემწე

მუხლი 10. დეკანის თანაშემწის უფლებამოვალეობები

1. **თანაშემწეს ევალება:**

ა) ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვადასხვა დოკუმენტის მოწესრიგება;

ბ) სტუდენტთა მონაცემების ელექტრონულ ბაზაში მუშაობა;

დ) *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი);*

ე) *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)*

ვ) პასუხისმგებლობა საგამოცდო უწყისების შენახვაზე;

ზ) საგამოცდო უწყისებიდან შეფასებების გადატანა სტუდენტების პირად ბარათში და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში;

ზ[1]) ელექტრონული უწყისების და ბაზების სიზუსტეზე (სასწავლო კურსში მონაწილე სტუდენტთა შემადგნელობის სიზუსტე, ლექტორის მიერ შეტანილი შეფასების თავსებადობა კურსის სილაბუსებთან, სილაბუსით განსაზღვრული ბარიერების მონიტორინგის წარმოება და ფინალურ გამოცდებზე დასაშვებ პირთა სიის მომზადება აკადემიური და ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით) პასუხისმგებლობა;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

თ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესახებ შესაბამისი საფეხურის დებულებების შესაბამისად ყველა საჭირო დოკუმენტის (ხელმძღვანელის, რეცეზენტის, ოპონენტის და ა.შ. დასკვნა) შენახვა სტუდენტთა პირად საქმეში;

ი) სტუდენტთა საფინანსო და აკადემიური დავალიანებისშესახებ სისტემატური ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციისათვის;

კ) მოთხოვნის შესაბამისად, ფაკულტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა ცნობის გაცემა დეკანის ნებართვით;

ლ) დიპლომის დანართის შევსება;

მ) სტუდენტთა მუდმივი ინფორმირება საკუთარი მიღწევების შესახებ, კონსულტაციების გაწევა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში. სტუდენტთა პირადი საქმეების მომზადება და ჩაბარება არქივისათვის;

ნ) ბრძანების ასლების, განცხადებების, ცნობებისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის წარმოება სტუდენტთა პირად საქმეში;

ო) სტუდენტთა პირადი საქმეების შენახვა შესაბამის პირობებში;

პ) *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი).*

ჟ) პირველკურსელთა, მობილობით გადმოსულ და სტუდენტის სტატუსის ახლადაღდგენილ პირთათვის ელექტრონულ ბაზებში რეგისტრაციისა და სასწავლო კურსების დარეგისტრირების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

რ) სტიპენდიის კანდიდატების შესახებ სიის მომზადება, აღნიშნული სიის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა და ფაკულტეტის დეკანისათვის გადაცემა;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #9 30.09.2022)

2. დეკანის თანაშემწეს ეკრძალება:

ა) სამდივნოში გარეშე პირთა დაშვება;

ბ) სტუდენტის პირადი საქმის გაცემა უცხო პირთათვის (პირადი საქმის ნახვის, განსხვავებული დისციპლინების დადგენისა ან სხვა მიზნით);

გ) საგამოცდო უწყისების გაცემა დეკანის ხელმოწერისა და ნებართვის გარეშე;

დ) საგამოცდო უწყისების გაცემა სტუდენტისათვის;

3. დეკანის თანაშემწე ასრულებს დეკანის დავალებებს.

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

თავი VIII

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 11. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სტატუსი

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოარის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე. სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თესაუ-ს აკადემიური საბჭო.

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

მუხლი 12. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორის და ასოცირებული პროფესორისგან.

(ცვლილებები შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი ოქმი № 6 13.03.2024)

2. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს და დოქტორის აკადემიურ ხარისხს მეცნიერების დარგებში ანიჭებს თესაუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც აირჩევიან სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან.

4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, და მდივნის არჩევის წესი და ფუნქციები განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

მუხლი13. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესი

სადისერტაციო საბჭოს შედგენის, საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი და საქმიანობა განისაზღვრება ფაკულტეტის სადისეტაციო საბჭოს დებულებით.

თავი IX

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ფაკულტეტის დებულებასა და სტრუქტურას დეკანის წარდგინებით ამტკიცებს თესაუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო.
2. დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის დასმის უფლება აქვს:
ა) დეკანს;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს 1/3-ს;
3.დებულებაში ცვლილებების შესატანად აუცილებელია ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება თესაუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

მუხლი 15. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
ფაკულტეტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას, აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს თესაუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14მარტის №5 ოქმი)

მუხლი 16. დებულების მიღება და ამოქმედება

1. დებულება ძალაში შედის თესაუ–ს წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დანართი 1



წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/